**ბაკური**

- გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ეღოსა?
როგორ დაეცენ ლეკები
ბაკურის ცéხე-ეზოსა7
- არ მინდა, ძველი დარდები
რომ გულში აიწეწოსა.
მე რა ვთქვა? უნდა კაცობა
ბაკურმა დაიკვეხოსა...
ჩემ-ფერეების სიცოცხლე
სამარემ დაილეკოსა.
- რათ იტყვი, კაცო, მაგასა,
თავს რათა სწიხლავ ფეხითა?
- სიმართლით მარტო ეს მეთქმის,
მაშ ტყუილი ვთქვა კვეხითა?
ვერ შავძელ იმის მხრის ჭერა,
ვერ მოვკვდი, -სული მეტკბილა...
ბაკურის ომი და ქცევა
ნეტავი თვალით გეხილა!
გული მკლავს, ცოცხლად რისთვისა
მტერს ჩავუვარდი ხელშია,-
ამისგან ეხლა ფიქრები
შხამად ამომდის ყელშია.
თავის აღება არ მწადის,
ვეღარც გავშლილვარ წელშია.
- ხომ არ გაექე, რა ვუყოთ,
არ დაგაცალეს სიკვდილი...
ის რისთვის გესირცხვილება,
რაიც არ არი სირცხვილი?
ჩვენც ვიცით, აგრევ გავიგეთ
ამბავი კილო-კავადა;
ერთმაც არ დაგგმო, ღვთის მადლმა,
არ მოგიხსენა ავადა.
გენუკავთ, ომის ამბავი
ეხლა გვიამბო თავადა.
- დიდი მოვიდა მტრის ჯარი,
გარს შემოგვერტყა ღობედა.
შვიდ დღეს ვიგერეთ თოფებით,
მრავალი კიდეც ვხოცეთა;
დიაცნი წამალს გვიწყავდენ, -
ქების ღირსნია სწორედა!..
მერვე დღეს ტყვია-წამალი
გასწყდა, გათავდა სრულადა
და ჩვენი შრომაც მაშინვე
ჩავთვალეთ დაკარგულადა.
უძილო, მშიერ-მწყურვალნი, -
მტერს! დ რომ ჩვენ მაშინ ვიყვენით!
ბედმა გვიმუხთლა ტიალმა,
გავცუდდით, გავირიყენით.
მოდგა და მოდგა მტრის ჯარი,
ციხის მოერტყა ლიბოსა;
რჩებოდა ჩვენი ქავციხე
გულ-ხადარას და დიდოსა.
¨უნდა ცოლ-შვილით მტერს დავრჩეთ,
სირცხვილი კისრით ვზილოთა!
მას მერმე ტანზე აბჯარი
როგორ-ღა დავიკიდოთა?!¨
ცეცხლად გადიქცა ბაკური,
მარტო ოხვრად და კვნესადა...
გული ქცევია ტალადა,
თვალები უჩანს კვესადა.
¨ვაჰ, დედას მტრისას!¨ -ესაა სთქვა,

ხელი გაივლო ხმალზედა:
¨ისევ მე დაგხოცთ!¨ -და ცოლ-შვილს
თავები დასჭრა წამზედა.
მტერს მიეგება ციხის კარს,
მეც იმას მივყევ კვალზედა.
გაუხტა ხმალ-მოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო;
თორმეტი მოჰკლა ციხის კარს,
ერთ-ურთზე დააწვინაო.
ვეფხვსა დაავდა კლანჭები:
ბაკურმაც დაიძინაო...

1899 წ.